ივერია

გაზეთი ღირს

თთვე	მან. კ.	თთვე	მან. კ.
12 . .	10 —	6 . .	6 —
11 . .	9 50	5 . .	5 50
10 . .	7 75	4 . .	4 75
9 . .	8 —	3 . .	3 50
8 . .	7 25	2 . .	2 75
7 . .	6 50	1 . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1886 წელიწადი

ტფილისის კლუბის დარბაზში
შაბათს, დეკემბრის 20 ს,
დანიშნულია
სამუსიკო - სალიტერატურო

საღამო

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნ ბ. მ. ზარუდნაია, ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა და ე. ი. ასლამაზოვისა, ბბ-ნნი მ. მ. იპოლიტოვ-ივანოვი, გ. ო. ყურდანაშვილი, თ. აკაკი წერეთელი, თ. გ მ. თუმანიშვილი, კ. ს. მესხი, ქ. ქ. გორსკი და ბ. შრიბიკი.

კონცერტის შემდეგ დაიწყება ცეკვა.

ბილეთები ისყიდება კლუბის შვეიცართან.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

ტფილისი, 18 დეკემბერი

ჩვენ გუშინ-წინა ვსთქვით ჩვენს გაზეთში, რომ „ეხლანდელი სამინისტრო სალისბერისა ცუდა არ იყოს განსაცდელშია და ამას გარგადა ჰგრძნობს სალისბერი“. გუშინდელი დეპეშა 17 დეკემბრიდამ გვაცნობებს, რომ სალისბერის სამინისტრო არამც თუ განსაცდელშია, ძალიან ცუდი დღე დასდგომია, რადგანაც სალისბერი იძულებულ გამხდარა: ან ლიბერალთა-დისიდენტთა მოთავე გარტინგტონი მიიწვიოს მინისტრად და თუ გარტინგტონი ამას არ ინდომებს, თვითონ პარლამენტი დაშალოს, დაითხოვოს და ახალი არჩევანი დაჰნიშნოს ინგლისის ერის აზრის შესატყობრად, როგორც ეგ გლადსტონმა ჰქმნა ამას წინად. რა მოხდა განა საამისო? ამის პასუხად ზოგიერთი ცნობა გვაქვს მოყვანილი გუშინწინდელს მეთაურ წერილში და თუმცა ჯერ გაზეთებს იმოდენა დრო არა ჰქონდათ, რომ გუშინდელ დეპეშის დღიდამ დღევანდლამდე მახლობელი მიზეზი მისი თუ,--ეჩვენებინათ, რამ აიძულა სალისბერი ასეთის მოქმედებისათვის, მაგრამ მაინც ჩვენ ხელთა გვაქვს ზოგიერთი საბუთი, რომელთაც თუ წინ გავიმძღვარებთ, როგორც იქმნება მივაგნებთ ამ მიზეზს. აი საქმე რაშია:

10-ს დეკემბერს დეპეშა იყო, რომ ლორდი ჩერჩილი სალისბერის სამინისტროს დაეთხოვა და გამოვიდაო. ლორდი ჩერჩილი, თუმცა უმაწვილი კაცია, მაგრამ იგი ამ ბოლოს ხანებში მოთავედ გაუხდა ერთს ნაწილს კონსერვატორთა დასისას, რომელსაც დღეს ნეო-კონსერვატორებს, ესე იგი, ახალ კონსერვატორებს ეძახიან. ეს დასი დღევანდელს პარლამენტში საკმაოდ დიდია.

საადგილ-მამულო საქმეში, რომელსაც საგრარო საქმეს ეძახიან, რომელიც დღეს მთელის თავის სიგძე-სიგანით წინ დასდგომია ინგლისის მთავრობასა როგორც საზოგადოდ ინგლისში, ისეც საკუთრივ ირლანდიაში და რომელიც იმოდენად გამწვავებულია, რომ სწრაფად ჰთხოულობს რაიმე წამალსა,—ლორდ ჩერჩილმა და მაშასადამე მისმა დასმაცა ამ საქმეში თვით რადიკალებსაც გადააჭარბა. ამ მხრით ლორდმა ჩერჩილმა და მისმა დასმა თანაგრძნობა მოიპოვა იმ რადიკალთა დასისაგან, რომლის მოთავედ ჩამბერლენი ითვლება და ამათის მომხრეობით უფრო გაძლიერდა. ჩამბერლენი და ლორდი ჩერჩილი წინაღუდგნენ გლადსტონს მარტო ირლანდიის ცალკე პარლამენტის გამო და სააგრარო საქმეში კი წინაც გაუსწრეს თითქმის გლადსტონსა თვისის ლიბერალობითა. ამათის აზრით, ირლანდიის ტკივილს მარტო სააგრარო განონთა ძირეული ცვლილებანი მოარჩენსო და არავითარი საჭიროება არ არისო ცალკე პარლამენტისა. მით უფრო, რომ ცალკე პარლამენტი სახელმწიფოს მთლიანობას და ერთიანობას შეარყევსო. გლადსტონი კი ამბობდა, საგრარო განონთა გამოცვლა ცალკე ვერასა იქმს, თუ ცალკე პარლამენტიც არ მიეცა ირლანდიასაო. უმთავრესი მიზეზი ჩამბერლენის განდგომისა გლადსტონისაგან თითქმის ეს იყო. თუ ეს რადიკალი ჩამბერლენი მერე მიუდგა კონსერვატორების სამინისტროს, ესე იგი, სამინისტროს სალისბერისას, მარტო იმიტომ-რომ ამ სამინისტროში ლორდი ჩერჩილი იყო, კაცი, რომელიც საგრარო საქმეში თვით ჩამბერლენზედ თუ არ მეტად, ნაკლებ აღარ რადიკალობდა.

ინგლისის გაზეთი „Times“-ი, ჰკიცხავს რა ლორდ ჩერჩილის სამინისტროდამ გამოსვლას, ამბობს რომ მიზეზი გამოსვლისა ის იყოვო, ვითომც ლორდმა ჩერჩილმა, როგორც ფინანსთა მინისტრმა არ ინდომა სამხედრო და ზღვის სამინისტროსაგან მოთხოვნილი ფული ჯარების და ხომალდების გაძლიერებისათვის მიეცა, რადგანაც უამისოდაც ინგლისის ერს დიდი ხარჯი აწევსო და არც საქმეთა ვითარება ითხოვს ჯარების გაძლიერებასაო. „Times“-ი არც იმას ჰმალავს, რომ ამ მიზეზს ისიც ზედ დაერთოვო, რომ შინაურ საქმეთა გამოც ლორდ ჩერჩილი არ დაეთანხმა სამინისტროსაო. თუმცა ეს მეორე მიზეზი ისეა დასახელებული „Times“-ისაგან ვითომც და სხვათა შორისი მიზეზია, მაგრამ აშკარაა, აქა უფილა ის წვრილი, რომელიც ამ შემთხვევაში გაწყვეტილა. ეგრედ წოდებულნი წმინდა სისხლის ტორიები ძალიან სწყრებიან, რომ ლორდი ჩერჩილი ამ სახით მოიქცა და ერთიანი დასი კონსერვატორებისა გაბზარა და გაარღვია. ამ სახით ჩერჩილი და მისი დასი გამოეცალა სალისბერის სამინისტროსა და ამ დასის მხარი ისე დიდი რამ იყო სალისბერის სამინისტროსათვის, რომ მის გამოცლისავე უმალ სამინისტროს ძირი შეერყევოდა.

ხომ მოგეხსენებათ, მას აქედ, რაც გლადსტონელებთა და ლიბერალთა-დისიდენტთა შორის განხეთქილება მოხდა და ამით ორ დიდ-ნაწილად გაირღვა ლიბერალთა დასი ინგლისისა, გლადსტონი და მისნი მომხრეები სიტყვით, თუ საქმით დაუღალავად ჰცდილობდნენ ხელ-ახლად გაერთებასა და ამათი გაერთება და სალისბერის სამინისტროს დამხობა ერთი იქნებოდა. ერთის მხრით ლიბერალთა დისიდენტთა მოთავე გარტინგტონი, მეორეს მხრით ჩამბერლენი თავის რადიკალებით იძახდნენ, ჩვენი გაერთება შეუძლებელია, თუ გლადსტონის მომხრენი ირლანდიისათვის ცალკე პარლამენტის პროექტზედ ხელს არ აიღებენო. რადგანაც გლადსტონელები ამაზედ ხელს არ იღებდნენ, ამიტომაც გარტინგტონი და ჩამბერლენი მხარს აძლევდნენ სალისბერის სამინისტროს იმის შიშით, რომ ეს სამინისტრო არ დაეცეს და კვლავ გლადსტონისა არ დაგვიბრუნდესო. გარდა ამისა ჩამბერლენი და მისი დასი ამ კონსერვატორთა სამინისტროს იშვნევდა და იფერებდა უფრო იმის გამო, რომ იქ იყო ლორდი ჩერჩილი, რომელიც საგრარო საქმეში ისეთივე რადიკალია თითქმის, როგორც ჩამბერლენი.

11-ს დეკემბერს დასავლეთ ბირმინგამში ჩამბერლენს სიტყვა წარმოუთქვამს და აუხსნია, რაკი ლორდი ჩერჩილი გამოვიდა სამინისტროდამ, ეხლანდელთა ტორიების სამინისტროში გაჰქრა ლიბერალური ელემენტიო. ძველნი ტორიების დედა-აზრნი და მოძღვრებანი კვლავ ამოზეზევდებიან და გაიმარჯვებენო. რაკი ესეა, აუცი-

---

ფელეტონი

ქართული თეატრი

(„გავიყარნეთ“ და „ხანუმა“)

(შემდეგი *)

ჩვენ წინად მოვიყვანეთ ლომინიძის ცოლის სიტყვები და, თუ კაცი დააკვირდება პიესას, ჰნახავს, რომ მიზეზი ცოლ-ქმრობის აშლილობისა პიესაში „გავიყარნეთ“ ამ სიტყვებით გამოთქმულ აზრებშია გამონასკვული. ესეც ვიცით, რომ ამისი მთქმელი ქალი ინსტიტუტშია გაზდილი, მაშასადამე, ცოტად თუ ბევრად სწავლა მიღებულია და განათლებული. ეხლა ვიკითხოთ, შესაძლოა ამისთანა მიზეზი წარმოსდგეს იმ ქალის გულის-ნადებთაგან, რომელიც ჩვენებურს ინსტიტუტშია გაზდილი? პირფერობა რა საჭიროა და პირ-და-პირ ვიკითხოთ: შეგხვედრიათ, მკითხველო, ჩვენს ეხლანდელს, ეგრედ წოდებულ, განათლებულთა ქალთა შორის ერთი იმისთანა მაინც, რომ გონების თვალ-წინ გამოხატული ჰქონდეს რაიმე სასულიეროდ სასიამოვნო საგანი, რომლის მისაღწევად მართლა ან გული ეჩხოდეს, ან ჭკუა-გონება!.. ნუ არევთ ამაში ხორცის თვალთა წინ გამოხატულს საგანსა,—ამისი უნარი ყველასა აქვს,—და იქონიეთ სახეში მარტო გონების თვალი და ისე გვიპასუხეთ.

სჯობს საყვარელსა უჩვენნე
საქმენი საგმირონია,

დიდი ხანია სთქვა გულთა-მხილავმა რუსთაველმა და აი გულ-აღფრთოვანებული ნინო ამ „საქმეთა საგმიროთა“ ელოდდა თავის ქმრისაგან. „ქმარი გმირი და მოტრფიალე—აი ჩემი ნატვრა რა იყოვო“, ეუბნება იგი ქმარსა. განა რომეო, რომელმაც თავი გაიწირა სიყვარულისათვის და მუაჯრიდამ თავდაყირა წამოვიდა, ან ლეანდრი, რომელიც იმავ სიყვარულისათვის ზღვას არ შეეპოვა და გააპო, ესე მოიქცევოდაო, ჰკითხავს იგი თავის თავს და სრულის რწმენის ძალით მოსილი იძახის: არა, არაო! ყოველ ამაში სჩანს, რომ აქ მოძრაობს სული, რომელიც თავის თავს შეხუთულად ჰგრძნობს, და არა ხორცი. ყოველ ამაში სჩანს, ნინოს ის მწვავი წყურვილი და ხალისი აქვს, რომ ყოვლაფერი საკუთარის ჭკუით გამოსწლას, გამოშიგნოს, ბუნება შეუტყოს და თავისი სახელი დაარქვას. ეგ არაფერია, თუ ამაებში სცდება, საქმე გამორკვევის წყურვილი და ხალისია, რომელიც ჭკუა-დახშულს ან გულს, სულიერის სიტკბოებისათვის მკვდარს, თავის დღეში არ მოეელინება. ამიტომაც რომეოსი და ლეანდრის ამბავი ზღაპარსავით კი არ დახსომებია— რომეომ ესა ჰქმნა, ლეანდერმა ესაო, როგორც ჭკუა-გაუხსნელთ ტყუილ-განათლებულთ მოსდით ხოლმე; იგი ჰცდილა და თვით ხორცთ-უსხმელის აზრისათვის ასე თუ ისე მიუგნია და ატაცებულა გულ-წრფელად იმ სიყვარულის ყოვლად ძლიერებითა, რომელსაც ადამიანი თავის თავის გაწირვამდე მიჰყავს უანგარიშოდ, უანგაროდ და უნანებლად.

რაკი თავისი ქმარი ამ სულით გაღვიძებულმა ქალმა თავის ნატვრას შეუწონა და ცოლ-ქმური მშვიდობიანი სიყვარული—განსაცდელიანს სიყვარულსა, ჰნახა, რომ ნატვრა გაუმტყუნდა. მისმა პატიოსნებამ ვერ აიტანა გაცუდება ნატვრისა,—ეგ გულის ადრე და მალე სიკვდილი, და განქორწინებაა დაჰრჩა თავისის ნატვრის აღდგენისა და განხორციელებისათვის. ვსთქვათ, ყოველ ამაში ჰცდება ნინო, მაგრამ რა გულის შესატკივარი, რა ლამაზი, თუ ეგრე ითქმის, რა მარილიანი და მომხიბლავი შეცდომაა!... აქ გული-კი არ გემღერევა ცდომილზედ, არამედ გინდა ამ გულ-უბრყვილო ცდომილს ცდომის კარამდე სიყვარულით და სიტკბოებით მიჰყვე, რომ თვითვე დაინახოს თვისი შეცდომა და გამოკეთდეს. იმიტომ-რომ გულ-უბრყვილო, გულ-წმინდა ცდომილისათვის დანახვა ცდომისა და ერთბაბად გამოკეთება ერთია. განა ჩვენებური ეხლანდელი, ეგრედ წოდებული, განათლებული ქალი იმოდენად სულით გაღვიძებულია, რომ გონება და გული ატრიალოს იმისთანა აზრებში, რომელიც მოჰსვევია ნინოს? ჩვენში არა გვგონია, ეხლანდებურად განათლებული ცოლი ქმარს აეშალოს იმის მიზეზით, რომ გაღვიძებულის სულისაგან შექმნილი ნატვრა გაუმტყუნდა და გაუცუდდა. იმიტომ-რომ ჯერ სულის ღირსის ნატვრის ღონე და უნარი უნდა იყოს, მერე თვითონ ნატვრა და მერე მისი გამტყუნება. სად არის?

ჩვენს ეხლანდელებრ განათლებულს ქალს განა „საქმენი საგმირონი“ გულს სიყვარულით აუფეთქებენ? გმირს კი ეძებს ვინმე და არა ფერ-უმარილით გაგლესილს თოჯასა, ანუ ოქროთი გატენილ ტომარასა?

ჩვენში უფრო ადვილია ეხლანდებურად განათლებული ცოლი ქმარს აეშალოს, რატომ ატლას-ბამბითის კაბა არ მიყიდეო, ვიდრე იმის გამო, რომ რატომ რომეოს და ლეანდრს არა ჰგევხარო. ჩვენში უფრო ადვილად წარმოსადგენია „შლიაპიანი“ და „ტურნურიანი“ ქალი ქმარს შემოსწყრეს და კიდეც გაეყაროს,—ჩოხა რად გაცვია და ყალმუხის ქუდი რადა გხურავსო, ვიდრე იმის გამო, რომ გმირი არა ხარო.

შესაძლებელია განა ჩვენებურმა ეხლანდელებრ მითამდა განათლებულმა ქალმა შავი ზანგი ოტტელო შეიყვაროს მარტო მისთა „საგმიროთა საქმეთა“ გამო, როგორც იგი შეიყვარა მშვენიერმა დეზდემონამ და როგორც უსათუოდ შეიყვარებდა იმისთანა ქალი, როგორიც ნინოა. გმირობა რა სახისაც უნდა იყოს, სულის ღონეა და არა ხორცისა და ამიტომაც გმირის სიყვარული მარტო სულითვე ღონიერს შეუძლიან. აქ ხორციელს თვალს ვერას გააჭრევინებთ, სულიერი თვალი უნდა და ამ სულიერის თვალის ახილება მარტო ცოტად თუ ბევრად რიგიანს განათლებას შეუძლიან და

---

*) იხ. „ივერია“ № 273.

ლებლად საჭიროა ლიბერალთა დასთა ხელ-ახლად გაერთებაო. სჩანს ეს ერთი ძლიერი მოპირისპირე და მეტოქე გლადსტონისა მორჯულდა და მიემხრო გლადსტონის მომხრეთა წყურვილს, რომ ლიბერალთა დასი გაერთდეს. აი სად უნდა ეძიოს კაცმა მიზეზი, რომ სალუსბერიმ იძულებულად ჰნახა თავისი თავი ან გარტინგტონი მიიწვიოს მინისტრად თავის სამინისტროში, ან პარლამენტი დაითხოვოს. მეტი გზა რომ არა აქვს, სალუსბერი, „Times“-ის სიტყვით, მთავარ-მინისტრობასაც დაუთმობს გარტინგტონსა, ოღონდ კი იკისროს და ლიბერალთა-დისიდენტთა სამინისტრო შეადგინოსო. ამ თავის გაწირვამდე მისვლა აშკარა ნიშანია, რომ სალუსბერის საქმე ძალიან გასჭირებია და უფიქრნია, რაკი მე თავს ვეღარ დავიჭეროო, კიდევ ისა სჯობია გარტინგტონი იქმნას მთავარ-მინისტრად, ვიდრე გლადსტონი, რომლის მინისტრობისაც ძალიან ეშინიანთ კონსერვატორებს.

ახალი ამბავი

⁂ კარგა ხანია მას აქედ, რაც წყლის გასაყვან მილებს აწყობენ ტფილისში კუკიისაკენ—ავჭალის ქუჩაზედ და არსენალის მახლობლად. მილების ჩაწყობა უკვე გაუთავებიათ გადასულან ავლაბარში და იქაც ამ დღეებში გაუთავებიათ ეს საქმე.

⁂ გუშინ სალამოსთვის ტფილისის სახელმწიფო ქონებათა გამგეობაში დანიშნული იყო კრება კავკასიის საფილოქსერო კამიტეტისა. კამიტეტს უნდა განეხილნა რა გააკეთეს საფილოქსერო დასებმა ამ წლის განმავლობაში და აგრეთვე უნდა დაედგინა, როგორ იმოქმედოს კამიტეტმა სამერმისოდ, რომ მისი მოღვაწეობა უფრო სასარგებლო იყოს ქვეყნისათვის.

⁂ გაზ. „ნოვ. ობოზ.“ შეუტყვია, რომ მერმის ჩვენს კავკასიაში გამოჰგზავნიან რამდენსამე კურს შესრულებულს შეგირდს პერმის გუბერნიის სააგრონომიო ზედამხედველთა ინსტიტუტიდამაო. ეს შეგირდნი მოვალენი იქნებიან გაავრცელონ ჩვენს ქვეყანაში, რომელი მწერია მავნებელი მეურნეობისათვის და ამიტომ რომელთა გაწყვეტა არის სასურველიო. იმათვე უნდა აუხსნან ხალხს სამეურნეო მაშინების სარგებლობაო.

⁂ რასაკვირველია ძრიელ სამძიმოა ჩვენის ხალხისათვის, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზა დიდს ფასს იღებს მიმავალ-მომავალთაგან. ეს გზა ბევრად უფრო მეტს ახდევინებს, ვიდრე რუსეთის სხვა გზებიო, ამბობს ზემოხსენებულივე გაზეთი. ამიტომ აპირებენ გადაათვალიერონ ფასები ამ გზისა და იმედია ცოტაოდნად მაინც შეამსუბუქებენ, როგორც მგზავრთათვის, ისე საქონლის გადატან-გადმოტანისათვისაცაო.

⁂ წელს ჩვენს ქალაქში სამზღვარ-გარეთიდამ მოუტანიათ, უმეტესად საფრანგეთიდამ, თითქმის 100.000 მანათის სხვა-და-სხვანაირი არშიები, ლეჩაქები და სხვა ამ გვარები. („ნოვ. ობ.“)

⁂ კავკასიის საექიმო საზოგადოებას მიუღია წიგნი გამოჩენილის საფრანგეთის პროფესორის პასტერისაგან. ამ წერილით პასტერი მადლობას უხდის საზოგადოებას წევრად ამორჩევისათვის.

⁂ სალიანში გამოჩენილა ერთი თათარი, რომელიც თურმე აგერ 47 წელიწადია, რაც არჩენს დაცოფილს. წამლად ხმარობს სხვა-და-სხვა ბალახებს, ზაფრანას, მწერს და სხვა ამ გვარებსა. ყველა ამას ახმაობს და თაფლით პატარა აბებს აკეთებს და აძლევს ავად-მყოფს. ეს წამალი, როგორც ამბობს გაზ. „ნოვ. ობოზ.“-ე, გამოუგზავნია კავკასიის საექიმო საზოგადოებისათვის, რომელსაც რამდენისამე ექიმისათვის მიუნდვია გამოსაკვლევად.

⁂ პეტერბურგიდამ სწერენ გაზეთს „კავკაზს“, რომ კავკასიაში კარგად ცნობილმა მ. ნ. გერსევანოვმა დაჰბეჭდა ამ ხანებში ახალი წიგნი—„აღწერა წყლის განაწილებისა კავკასიაშიო“.

⁂ იგივე გაზეთი ამბობს, რომ ტფილისის საქალაქო გამგეობის განკარგულებით, ქალაქის ტეხნიკმა გამოიკვლია მიზეზნი ცეცხლის გაჩენისა ქართულს თეატრშიო. ტეხნიკის სიტყვით, ბუხრისა და ჰერის კოჭებ შუა მარტო ნახევარ აგურიანი კედელი ყოფილა და ამიტომ სიცხისაგან კოჭს ნელ-ნელა მოჰკიდებია ცეცხლიო.

⁂ ტფილისის ძველი ციხე, რომელიც სოლოლაკის კლდეზედ არის, უნდათ რომ ცოტაოდნად მაინც შეაკეთონ, რომ სულ არ დაიქცეს. ქალაქის ტეხნიკის აზრით, ამ შეკეთებაზედ საქალაქო გამგეობას 1,200 მანათის დახარჯვა მოუნდებაო.

⁂ სახელმწიფო საბჭოს დაუვალებია გზათა სამინისტროსათვის, რომ სხვათა შორის ერთი ახალი რკინის გზა უნდა გაკეთდეს კავკასიაშიო. ამ ახალმა რკინის გზამ უნდა შეაერთოს ვლადიკავკავი პეტროვსკთან და ამ სახით სამუდამოდ და მტკიცედ შეუერთდება რუსეთი შუა აზიასა სპარსეთსა და ამიერ კავკასიასაო. („Рус. Кур.“)

⁂ სახელმწიფო ხაზინისთვის თამბაქოს ბაჟს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ამ ბაჟის გამო რამდენიმე მილიონი მანათი ემატება ხაზინას; თამბაქოს მოყვანის გაძრიელება, რასაკვირველია, უფრო მეტს შემატებს ხაზინას. ამიტომ სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გაუგზავნია რამდენიმე კაცი ოსმალეთსა და ჰოლანდიაში თამბაქოს შემუშავების შესასწავლელადაო, ამბობს ზემოხსენებულივე გაზეთი.

დამკვირდი!

კარგი გაზრდა და გაწურთვნა იმასთანა მეცნიერებაა, რომელიც ასწავლის ჩვენ შვილებს გაუძლვენ წუთის-სოფლის ავ-კარგიანობასა ჩვენდა დაუსმარებლად.

(ლეგუვე)

**

ჩვენთა მტერთა შორის ყველაზედ საშიშარი მტერი იგია, ვინც გვაჩვენებს, რომ ვითომ ჩვენთვის იღვწის.

**

ქება, რომელსაც ჩვენ ვუბნებით ხოლმე ჩვენს მტერს, უფრო მეტს ბრალსა სდებს მას, ვიდრე ჩვენი ჩივილი.

(ლანგრე)

**

არ შეუდრკების ჭაბუკი
კარგი მასწავლთა გვეთასა.

(რუსთაველი)

**

ვერვინ ჰკრა გონის მშვიდითა
საწადლის საგანს ისარი.

(მეფე ვახტანგ VI)

**

გაზის მრგველთან ის არ აქო,
ვინც მის ნაცვლად ქვა დარგო.

(დ. გურამიშვილი)

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ახალციხე 8 დეკემბერს. ჯერ კიდევ ოსმალოს ეკუთვნოდა ახალციხე, რომ აქ სომხები, ქართველები და ურიები სცხოვრობდნენ. მერე რაკი 1828 წ. ახალციხე დარჩა რუსეთს, ბევრნი გადმოსახლდნენ აქ. გადმოსახლდნენ სომხები — აზრუმიდამ, ქართველები და ურიები—ქართლ-იმერეთიდამ. ახალციხე ამ დრომდე პატარა ქალაქი იყო; ქალაქი ეწოდებოდა მაშინ ეხლანდელს რაბათს, ანუ ახალციხეს ძველს ნაწილს. უმთავრესი მიზეზი ხალხის გადმოსახლებისა ის იყო, რომ ახალციხე მაშინ, ესე იგი რუსთ-ოსმალოს უკანასკნელს ომამდე (1877 წ.) მოსამზღვრე ქალაქი იყო და ვაჭრობა და აღებ-მიცემა აქ გახშირებითა და გაძლიერებით სწარმოებდა. გადმოსახლებულნი რაბათში რომ ვერ დაეტიენენ, დასახლდნენ აღმოსავლეთით მშვენიერს ტრიალს მინდორზე, სადაც უწინ რაბათელ გლეხ-კაცობას უხნავს და უთესია. ამ ახალ ნაწილს დაარქვეს „პლანი“. ახალი უბანი დღითი-დღე გაივსო ხალხით, გაშენდა, გამშვენიერდა და პირველობა ჩამოართვა რაბათს. პლანში დასახლდნენ მარტო სომხები და ამ ბოლოს დროს რუსები და ქართველებიცა. ახალციხეში ყველა ტომს ცალკე უბანი უჭირავს. მაგალითად, რაბათი განიყოფება ორ ნაწილად. ასე ჰყოფს რაბათს ბაზარი. ერთს ნაწილში სულ ქართველები სცხოვრობენ და მეორეში სულ კათოლიკენი. დაღმართისკენ, პატარას რომ ჩაივლით, იქ, სადა ერთი-ერთმანერთზედ მიყრილია სახლები, სცხოვრობენ ურიები. აღმართის მარჯვენივ დაინახავთ „სლაბოდკას“, აქ სულ რუსები ცხოვრობენ. ეხლა-კი სამი-ოთხი კომლი ქართველებიც მიემატნენ რუსების უბანს. დაღმართს ჩახვალთ და იქიდამ იწყობა „პლანი“.

რაკი 1878 წელს ახალციხე შიდა ქალაქად გადიქცა, ვაჭრობამ ძალიან იკლო. მასუკან ბევრმა დაკეტა დუქნები და სხვა ქალაქებში წავიდ-წამოვიდა. ვაჭრობის კლებას ამ უკანასკნელ დროში ყველგან უჩივიან და ახალციხე ხომ უჩივის და უჩივის. აღარას-ფერს არა აქვს აქ გასავალიო, იძახიან ვაჭრები: ის ვაჭარი, რომელიც ორას-სამას თუმანს თავნს ატრიალებს დუქანში, დღეში ვერ ივაჭრებს ოთხ-ხუთს მანათს და ვინც ასზე ნაკლებს ატრიალებს, იმაზე ხომ რაღა ითქმისო.

საზოგადოდ ახალციხეში ძალიან დაეცა ვაჭრობა და ხალხი გასაწყლდა, მაგრამ ამ მხრივ უფრო შესაბრალისნი არიან რაბათელები. ვიდრე ახალციხიდამ აბასთუმნამდე გაიყვანდნენ შარა-გზას (1880 წ.), რაბათში კიდევ ცოტა ოდენი იყო ვაჭრობა და ამასთანავე სიაფეც. ამის მიზეზის იყო, რომ იმ სოფლებს, რომელნიც ახალციხის დასავლეთითა მდებარეობენ და საიდგანაც მომეტებული საზრდო და სანოვაგე შემოდის, უნდა ჯერ რაბათში შემოეტანათ თვისი ნაწარმოები და შემდეგ პლანში უნდა წა-

---

სხვას არასფერს. ჯერ ჩვენში ამისთანანი არ არიან მამა-კაცთა შორისაც, რომელთაც ჭეშმარიტის განათლებისათვის კარი ყველგან ღია აქვთ, და ქალები სად მოიპოვებიან.

აი ამიტომაც ვსთქვით დასაწყისში, რომ იგი მიზეზი ცოლ-ქმრობის აშლისა ადვილად ჰკვად-მისაღებია საფრანგეთში და ჩვენში კი ციდამ ჩამოსული ამბავია. ჩვენებურთა მითამ და განათლებულთა ქალთა გულის ნადები, გულის-ტკივილი, ნატვრა-სურვილი სულ სხვაა ჩვენდა სამწუხაროდ. ჩვენში ხორციელი თვალი უფრო მოქმედებს, ვიდრე თვალი სულისა. ჩვენში შესაძლოა ხორცის თვალით წარმოდგენილი საგანი ნატვრისა გამტყუნდეს და ამან აშალოს მშვიდობიანი მდინარეობა ცოლ-ქმრობისა. ამისი არა ერთი და ორი მაგალითია. მაგრამ რომ ვიგულოთ სულიერის ლონით აგებული საგანი ნატვრისა და ცხოვრების აშლილობა ამისთანა ნატვრის გამტყუნებას დავაბრალოთ,— ეგ ჯერ კიდევ სანატრელი სიზმარია. ამიტომაც რაკი ხსენებულის პიესის გადმომკეთებელს მართლა გადმოკეთება მოჰსურვებია, სხვა, ჩვენებური მიზეზი აშლილობისა უნდა გამოენასკვა პიესის ნასკვად. სხვისა არ ვიცით და ჩვენ კი გვეოცებოდა, რომ პიესის მსვლელობას ვუყურებდით: სად ჩვენებური მითამ და განათლებული ქალი და სად სულიერად სასიამოვნო ნატვრა და ამ ნატვრის გაცუდება!.. გონებას არა სჯეროდა, რაც ყურს სცენიდამ ესმოდა. ისიც კი გვეხამუშა და გვეხამა ყურში, რომ ქმარმა, ესე იგი, ვითამ და ქართველმა ლომინაძემ ათი-ათასი თუმანი აღუთქვა თავის ცოლს მზითევად, რაკი მეყრები და სხვას ირთავო. რომ ეს ცოტაოდნად მართალსა ჰგვანებოდა, ეს ათი-ათასი თუმანი ხუთას თუმანზედ მაინც გადმოეკეთა გადმომკეთებელს, რომ აღთქმა მაინც ქართველების ჯიბის შესაფერი ყოფილიყო. ეს წუნი ცოტა რამ არის, მაგრამ სასცენო ხელოვნებაში ამისთანა ცოტა რამაც მაყურებელს ცოტად თუ ბევრად უფუჭებს გუნებასა.

მართალია,—ნინო იმოდენად სხვაზედ წარმატებულია და გონება-გახსნილი, რომ წყურვილი და სურვილი სულიერად სასიამოვნო ნატვრისა არა აქვს მოკლული და ასე თუ ისე იგი საგანი ნატვრისა შეუქმნია თავის საკუთარის, თვით-მომქმედის სულიერის ძალლონითა. ესეც, როგორცა ვსთქვით, დიდი საქმეა იმისდა მიუხედავად თუ, —რა სიკეთისაა თვით საგანი ნატვრისა, იმოდენად დიდი საქმეა, რომ ჩვენს მითამდა განათლებულ ქალებში ძნელად იგულისხმება. ნინო ჯერ ყმაწვილი ქალია. მართალია, — გამორკვევის წყურვილი იმოდენად გაღვიძებული აქვს, რომ რაც კი ყმაწვილობის მოკლე ხანში უნახავს, გაუგონია, გამოუცდია—ყოველ აქედამ ზოგიერთი ჰკუა უსწავლია და თავისი აზრი შეუდგენია. ამ საგნებზედ იმისი ნათქვამი სიტყვები მეტისმეტად არიან გამსჭვალულნი რწმენის ძლიერებითა და ზოგან ძლიერ მართალნიც ასე, რომ სიმწვავე და სუსხი უფერ-უმარილო მართლისა გულში მოსახვედრია და საგრძნობელი. კაცი ყურს უგდებს და სასიამოვნო გულის ტკივილით თანაუგრძნობს ქალს, რომელსაც გული გაჰდაშლია პატიოსანის, წმინდის, მაგრამ მჭექავმქუხავის სიყვარულისათვის და იგი მჭექავ-მქუხავი სიყვარული ცოლ-ქმრობაში ვერ უპოვია. ყოველივე ეს მართალია, მაგრამ ნინო ამასთან იმოდენად უცოდინარია წუთის-სოფლისა, რომ ადამიანის ცხოვრება რომანი ჰგონია და ცოლ-ქმრობა კი—სარბიელი ამ რომანისა. ის კი არ იცოდა, რომ ჭეშმარიტი სიტკბოება ცოლქმრობისა ნელსა, წყნარსა და მშვიდობიან სიყვარულშია და ცოლ-ქმრობას ამის მეტის მოტანა არ შეუძლიან. ესეთი სიყვარული ჰქონდა ქმარს ნინოსი, მაგრამ ნინომ სიყვარულად არ იცნა. „თქვენ მე მომატყუეთო“, ეუბნება სიმწარით ქმარსა, რადგანაც განსაცდელიანი, რომანებში ამოკითხული მოუსვენარი სიყვარული ვერ იპოვა და მშვიდობიანი კი ვერ იცნა. აი გულწმინდა, პატიოსანი ბაშვი, აქ კი წარა-მარა სწავლისა, გაწვრთნისა და კითხვისაგან წარა-მარად თვალ-ახილეული! სწავლისაგან საკმაოდ არ განათლებული გონება, გაუწურთნავი ამ მხრით გული ვერ მისწვდა ამისთანა სიყვარულსა. ეს კიდევ არაფერია, კაცი ამისთანა გულ-წრფელს ცდომას, როგორც იქმება, შეიწყნარებს. წარა-მარად სწავლასა და გაწვრთნასა სხვა არა ნაკლებ მძიმე საგანი ცხოვრებისა მისთვის ბნელში დაუგდია. ნინოსა ჰშურს მამა-კაცის თავისუფლება. მერე რაში ჰშურს? იქნება გეგონოთ იმაში, რომ მამა-კაცს ყველგან გზა-გახსნილი აქვს საქვეყნო მოქმედებისათვის და ქალს კი დახშული? ეს ხომ სამართლიანი და პატივ-სადები შური იქმნებოდა. ქალს საბუთი აქვს ამ მხრით გულისწყრომისა და საყვედურისა, იმიტომრომ დღეს საქმე ასეა მოწყობილი, ეხლანდელი საზოგადოება ასეა აგებული. არა, ნინოს თავისუფლება მამა-კაცისა ჰშურს მარტო იმაში, რაც გასაკიცხავია და დასაძრახისი თვით კაცისათვის. „თანასწორობა გვინდაო“, ეუბნება ერთგან ცოლი ქმარს პასუხად: „თქვენა ჰქეიფობთ, ჩვენც მოგვეცით ნება ვიქეიფოთო და თუ ჩვენ მოწყენილნი ვართ, თქვენც მოიწყინეთო“. თქვენ მამა-კაცებს რა გიჭირთო, ეუბნება ისევ ქმარს სხვა ადგილას: მინამ უცოლოები ხართ, ხან ერთ ქალთან ქეიფობთ და სტკბებით, ხან მეორესთან და როცა მოიქანცებით და მოგწყინდებათ, მხოლოდ მაშინ იტყვითო: ახლა კი დროა ცოლი შევირთოვო. ნინო, ამისი მთქმელი' გულ-წმინდა და პატიოსანი ქალია, მაგრამ იმოდენად წინ დაუხედავად ნასწავლია და გულ-დაუდებლად ნაწურთვნი, რომ მარტო ესა ჰშურს მამა-კაცის თავისუფლებისა და გონება ვერ მიუწვდენია იმ ჭეშმარიტ განათლებულ თავისუფლებამდე, რომელიც მარტო მაღალ-ზნეობას გზას უხსნის და ამისთანებში კი ადამიანს ჰხუთავს და ჰზღუდავს რკინის ბორკილზედ უარესად. რა არის იგი სწავლა, განათლება, ზნეობა - გაწვრთნილობა რომ თავისუფლების ჭეშმარიტი მნიშვნელობაც ვერ გამოარკვევინოს ადამიანსა, იმოდენა ღონე არ მისცეს სულისა, რომ ადამიანი მის მაღალ მნიშვნელობას ასწვდეს და ბოროტის ქმნის თავისუფლებას სიკეთის ყმობა არ არჩევინოს! ამაში კი, სწორედ მოგახსენოთ, არც ჩვენებური განათლებული ქალები ჩამოუვარდებიან ნინოსა.

(დასასრული იქნება)

ელოთ, რადგანაც სხვა საძლელი გზა არა ჰქონდათ. ახლა-კი, აბასთუმნის გზა რომ გაკეთდა, პირდაპირ პლანში მიაქეთ, რადგანაც იქ უფრო მალე ეყიდებათ და მისავალი გზაც კარგი აქვსთ. ამ გვარად მოსწყდა რაბათს სოფლის ხალხი. თავათ არ იყო ძმარიო, ზედ დაურიეს წყალიო; ახლა სულ ბოლო მოეღოთ რაბათელებს.

მივიწყებულმა რაბათელებმა შარშან-წინ მოაგონეს ქალაქის გამგეობას, რომ ჩვენცა ვსცხოვრობთ ქვეყანაზეო და გთხოვთ, რომ შეაერთოთ ივლიტა *) რაბათთან შარა-გზით და მით მიეცით საშუალება სოფლელებს, რაბათშიაც შემოიტანონ თავისი ნაწარმოები გასასყიდადაო, მაგრამ გამგეობამ, რაღა თქმა უნდა, უარი უთხრა, ფული არა გვაქვსო. კიდეც რომ ჰქონდესთ, რაბათისათვის ვინ მოაცლის?! წყალ-წაღებული ხავს ეჭიდებაო, რაბათელებმა რომ ვეღარა აწამეს-რა, მათ უმაღლესობას დიდს მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს მიართვეს თხოვნა და შესჩივლეს თავისი გაჭირვება 1885 წელს, როცა დიდი მთავარი აბასთუმანს წაბძანდა. რასაკვირველია, ეს თხოვნა არ იქმნა შეწყნარებული, რადგან სათხოვარი მთავრობასა და ადმინისტრაციას არ შეეხებოდა.

ასეთია დღეს ახალციხის ყოფა. აღმართი იყო გასასწორებელი და გამგეობამ ჯერ ისიც ვერ გაასწორა. ქუჩებში საშინელი ტალახებია და ამასაც წამალი ვერა დასდო-რა გამგეობამ. რაბათი მუდამ საჭიროებს პლანში სიარულს, რადგან იქ არის ყველა სამართველო დაწესებულება, მაგრამ უგზოუკვლობის გამო, ეს სიარული ძალიან გაძნელებულია. ვინ იცის, იქნება საბუთი რამ მიუძღოდა იმ 600 კაცს, რომელთაც თხოვნა მიართვეს 1884 წელს ტფილისის გუბერნატორს და ეხვეწებოდნენ: თვით-მმართველობამ გაგვაღარიბა და ქალაქი ვალში ჩაგდოვო. ამიტომ გთხოვთ, გვეწინამძღვრეთ და ქალაქის თვით-მმართველობა გაგვიუქმებინეთო. თხოვნა არ იქმნა შეწყნარებული, მაგრამ ბევრი მაინც და ზოგიერთი „ის გლასნებიც“, რომელთაც ამ თხოვნაზე ხელი ეწერათ, სიამოვნებით იგონებენ იმ დროს, როცა ქალაქის ბედ-იღბალი დეპუტატებისა და პოლიციის ხელში იყო. მაშინ დეპუტატებს ირჩევდნენ მცხოვრებთა გვარ-ტომობის მიხედვით, თითო კაცს თითო ტომისაგან. რამდენად შესაწყნარებელია ასეთი სურვილი ზოგიერთ ახალციხელთა, ამას დრო გამოაჩენს. იმედია, საქალაქო გამგეობა თავისის მოქმედებით დაუმტკიცებს ამათ, რომ ისევ თვით-მართველობა სჯობია პოლიციისა და დეპუტატების ხელში ყოფნასა.

განო ათაბეგი

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ევროპაში თითქმის ყველა დიდნი სახელმწიფონი და პატარანიც სულ იმასა სჩივიან, აღარ შეგვიძლიან გავუძლოთ ასეთს გაძლიერებულს სახელმწიფო ხარჯსაო; ეს ხარჯი ყოველ-წლივ მეტია შემოსავალზეო. სწორედ ამ დროს ამერიკის შეერთებული შტატები იმასა სჩივიან, იმაზე სწუხან და ჰგოდებენ, რომ არ ვიცით, რა ვუყოთ ამდენს სახელმწიფო შემოსავალსაო. ეს შემოსავალი ბევრად აღემატება ხარჯსა. ვერცხლის ფული იმდენი მოგროვდა სახაზინო სარდაფებში, რომ უნდა აღვკრძალოთ შემდეგისათვის ვერცხლის ფულის მოჭრაო.

პრეზიდენტი შტატებისა კლიველანდი სწერს კონგრესსა, რომ შარშან სახელმწიფო შემოსავალი ბევრად მეტი იყო გასავალზეო. მეტი იყო სახელდობრ ას-ოცი მილლიონი ვერცხლის მანათითაო. ჩვენებურის მანათის კურსისამებრ რომ ვიანგარიშოთო, ამბობს გაზ. „Рус. Вѣд.“-ი, გამოვა, რომ შარშან ამერიკას თითქმის ორას-მილლიონამდე მანათი მეტი შემოსვლია ხარჯზედა.

დიდს ზრუნვაშია თურმე ამის გამო ამერიკა. შემოსავალი რომ მატულობდეს და ხარჯსაც ემატებოდეს იმავე დროს, კიდევ არაფერი, მაგრამ საქმეც იმაშია, რომ შემოსავალი მატულობს და ხარჯი კი ყოველ-წლივ უფრო-და-უფრო კლებულობს.

ან-კი საიდამ იმატებს ხარჯი ამერიკის შტატებისა. ჯარის შენახვა შტატებსა ისე ძვირად არ უჯდება, როგორც ევროპის სახელმწიფოებს. თუმცა შტატებში მცხოვრებთა რიცხვი ამ ჟამად თითქმის 55 მილლიონამდეა, მხედრობა 30 ათას კაცზე მეტი არა ჰყავს.

პრეზიდენტი შესჩივის კონგრესსა, გვირჩიეთ რამე, რა ვუყოთ იმ თითქმის 140 მილლიონს მანათის ვერცხლის ფულს, რომელიც ყოვლად უსარგებლოდ ზვინებათ არის დაგროვილი სარდაფებშიო!

* * *

იმ დაღლიცვილმა გლიველანდმა, თუ თავად არ იცის, როგორ მოახმაროს სახელმწიფოს მეტი ფული, ნემეცებს მაინცა ჰკითხოს. აძათ იციან, რასაც უზძენ მომეტებულს ფულს. ამას წინად სახელოვანმა მთავარ-სარდალმა მოლტკემ რეიხსტაგში წუწუნი მორთო იმის თაობაზე, რომ ფული ძალიან ცოტა აქვს ხაზინასაო. სახელმწიფოს და ერს ძალიან გაუჭირდა საქმე უფულობის გამოვო. ფული საჭიროა, მაგრამ ხალხი მეტად ვეღარ დაგვიბეგრებია. ხარჯის მომატების ტვირთს, თუ დიდხანს გასტანა ასე დღევანდელმა ყოფამ, ერი ვეღარ აიტანსო.

ან-კი რა გასაკვირველია, რომ ერმა ვეღარ შეუძლოს ასეთს მძიმე ტვირთს სახელმწიფო ხარჯის მატებისა და გაძლიერებისას. დიდძალს მხედრობას გერმანია კიდევ უფრო აძლიერებს. ახალის კანონ-პროექტით, როგორც ვიცით, გერმანიის მთავრობა ითხოვს, 41 ათასი ჯარის კაცი კიდევ მიგვამატებინეთ მხედრობისათვისაო.

საქმე ის არისო, ამბობს „Рус. Курь.“-ი, რომ სამხედრო სამსახურისათვის კაცებსაც არა ჰკმარობენ გერმანიაში და ახლა ძაღლებიც უნდათ გაწურთნონ ამ საქმისათვისაო.

ამ რამდენისამე წლის წინად ერთმა გაზეთმა ხუმრობითა სთქვა თურმე, რომ შეიძლება ძაღლები გაიწურთნონ სამხედრო სამსახურისათვისაო და ეხლა ეს ხუმრობა ნამდვილად კი გაუმართლებიათ პრუსიაში.

ჯერ-ჯერობითაო, ამბობს იგივე გაზეთი, გაწურთნილი ძაღლები მხოლოდ საფოსტო სამსახურს ასრულებენო. ძაღლები მიჩვეულნი არიან აგრეთვე, რომ შეატყობინონ ჯარს მტრის მოახლოვება, ისე არიან დაგეშილნი, რომ ადვილად სძებნიან დაჭრილთა და დაკოდილთა და აგრეთვე გზა-დაკარგულ მხედართაო. ასე თუ წავიდა საქმე, ჩქარა იმ დროსაც მოვესწრობით, რომ ძაღლები შიკრიკობასა და დათა მოწყალებისათა თანამდებობას არ დასჯერდებიან. მაშინ ძაღლები მოითხოვენ, რომ იმათი გვარი სამშობლოს დამცველად იდიდებოდესო.

* * *

რახან ძაღლებზედ ჩამოვარდა ლაპარაკი, ძაღლების ამბითვე გავათავოთ. ძაღლებს ისეთი პატივისცემა აქვთ ახლა ზოგან ევროპაში, რომ ლამის ადამიანები სრულიად დაავიწყდეთ. ბევრნი არიან თურმე დღეს ევროპაში ისეთნი, რომელნიც ამ სისხლის პურის ჭამის დროს, როცა ადამიანი შიმშილს ითმენს და ლუკმა-პურისთვის იბრძვის, თავიანთ ძაღლებს ვარიებს აჭმევენ და ვარიის ხორცით ასუქებენ.

რა დასაჯერი-კია, მაგრამ ერთი ფრანგული გაზეთი, სახელდობრ, «Gaulois»-ა მოგვითხრობს,

რომ ყველა როტშილდებს საფრანგეთში დიდად უყვართ თავიანთი ძაღლები და მეტის-მეტს პატივსაცა სცემენო. ბარონმა ადოლფმა და მისმა მეუღლემ ცალკე სახლები ააშენებინეს თავიანთ ძაღლებისათვის. ცოლ-ქმართა ძაღლები სხვა-და-სხვა ჯიშისა და მოდგმისანი არიან, ერთმანერთს ძალიან ემტერებიან და ამიტომ ცალკე საცხოვრებელი სახლები აუშენესო. ბარონ ალფონს როტშილდის მეუღლეს ერთი წყვილი პატარა ძაღლი ჰყავსო. ეს ძაღლები მეტად ყვითელის ფერისანი არიან. ერთს „რიგოლო“ ჰქვიან, მეორეს—„ბიუტი“. ბიუტი უფრო უყვარს ბარონის ცოლს და მუდამ თან დაჰყავს, საცა კი წავა. ეს გარემოება ძალიანა სწყინს რიგოლოს. მაგრამ ბარონის მეუღლე ამას ყურადღებას არ აქცევს. ასე გასინჯეთ, ბიუტი ისე უყვარს, რომ არას გზით არ უნდოდა რიგოლოსთვისაც ისეთი ტანთ-საცმელი შეეკერვინებინა, როგორიც ბიუტისთვის შეუკვეთაო. თერძმა-ქალმა სთხოვა ბარონის მეუღლეს, ნუ ინებებთ მაგას, შურს და მტრობას ნუ ჩაუდებთ გულში და ერთ ნაირი ტანისამოსი ჩააცვით ორთავ ფინიასაო. ბარონის ცოლმა შეიწყნარა თერძი-ქალის თხოვნა და როგორც იყო დასთანხმდა, რომ ორივე ფინიას ერთ ნაირადა ჰცმოდათო.

უხაროდეთ პირუტყვის დამცველთა საზოგადოების წევრთ. ვგონებთ, სიზმარშიაც არ მოელანდებიათ, რომ შეიძლება კაცსა თუ ქალს ასე უყვარდეს ოთხ-ფეხი და მერე ისიც ძაღლი. ჩვენ კი ჩვენის მხრით ბოდიშს ვიხდით მკითხველთან, რომ ადამიანის მაგიერ დღევანდელ ნარკვევში თითქმის სულ ძაღლებზედ გავუბით საუბარი.

რუსეთი

— ოდესის ოლქის სასამართლოში ამ ახლო ხანში განხილულ იქმნა ერთი საინტერესო საქმე. ბრალდებული იყო მ. ლიაშკინი, რომელსაც ბევრი გაიძვერობა ჩაუდენია ამ უკანასკნელ ორის წლის განმავლობაში. ეს კაცი სცხოვრებდა თურმე სხვის გვარით ოდესაში 1884 წ. და დაპატიმრებული იყო იქვე. გვარად დაირქვა ვოეიტინოვიჩი. გამოძიების შემდეგ გაიგეს, რომ როცა იმის მამას, მდიდარს და გამოჩენილს ვაჭარს უიტომარისას, საქმეები ცუდად წასვლია, ახალგაზდა ლიაშკინს დაუწყია სიარული რუსეთში და სამზღვარ-გარედ სხვა-და-სხვა კაცის სახელითა და ავაზაკობას მეტი არა უკეთებია-რა. მარტო იმასა სცდილობდა თურმე, რომ ყალბის თამასუქებით ფული გამოეტანა ბანკებიდამ და რკინის გზის სადგურებიდამ და ბევრჯელ ბევრი ფულის გამოტანაც მოუხერხებია. ამ გვარი ბევრი ყალბობა და ავაზაკობა ჩაუდენია სხვა-და-სხვა ქალაქებში: პეტერბურგსა, მოსკოვსა, კიევსა, ხარკოვსა, როსტოვსა, ტაგანროგსა, ტიხვინსა, ნიჟნი-ნოვგოროდსა, ოდესსაში და კიდევ ბევრს სხვა ქალაქებში, მაგრამ სუყველგან შერჩენია ეს ავაზაკობა. ხოლო ამ უკანასკნელ ხანებში დაუჭერიათ, გაუჩხრეკიათ და უპოვნიათ ყალბი ბეჭედი ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობისა, სახელმწიფო ბანკის ბარათი, ბარათები საფრანგეთის ბანკისა და ლიონის ბანკისა. მარტო ლიონის ბანკის ბარათი იყო 6.100 ფრანკისა. ეს ბარათები სულ ყალბი აღმოჩნდა. სასამართლომ განუჩინა გაიგზავნოს ციმბირის არა შორეულ ადგილებში და რადგანაც ლიაშკინზე საქმეები სწარმოებს კიდევ ხარკოვისა და კიევის ოლქის სასამართლოებში, ამიტომ განაჩენი ჯერ აღსრულებაში ნუ იქმნება მოყვანილიო.

— ახლად დაარსებული სათავად-აზნაურო ბანკი რუსეთისათვის უფრო-და-უფრო ავრცელებს და აძლიერებს თავის მოქმედებას. მაგალითად, პეტერბურგის ბანკს ამ ორიოდე თვეში მიუღია გირაოთ 200 მამული.

— 4 დეკემბერს გამოჩენილს მხატვარს აივაზოვსკის გაუმართავს ხარკოვში გამოფენა თავის სურათებისა. ამ გამოფენას დიდი ხალხი მიუზიდნია. ძრიელ მოსაწონი სურათები არისო, ამბობენ გაზეთები—„ყირიმის სამხრეთი ნაპირი“, „ღელვის დამშვიდება“, „თავ-დასხმა ოლეგისა“, „ჩესმენის ომი“, „იმპერატორი ნიკოლოზი“, „ვლადიმირის გემზედ“, „სახლ-კარი ახალ რუსეთში“, „აკროპოლისის არე-მარე“.

— მოგილიოვის გუბერნიის ერთს ადგილს ერთს მოქალაქეზედ ეჭვი მიუტანიათ და ცხენის მოპარვა დაუბრალებიათ. ცხენის პატრონს გლეხს კრუგლიკოვს შეუგროვებია თავისი მეზობლები და მისულა ამ კაცის სახლში. სემიშკინი (გვარია ცხენის მომპარავისა) გამოტეხილა თავის დანაშაულში და უთხოვნია, რომ გამიშვით და ცხენს მოგგვრითო. კრუგლიკოვს მოუყვანია სემიშკინი თავის სახლში, მოუბამს წელზედ თოკი და ჭერში ჩამოუკიდნია. მეორე დღეს მიუბამთ პოვოსკაზედ და თრევით მიუტანიათ ურიადნიკის სახლამდე, გზაზედაც ბევრი უცემიათ და ამ გვარად გზაზედ მოუკლავთ.

— პეტერბურგში ლაპარაკობენ, რომ მერმისიდამ დიდს რეფორმებს აპირობს საფინანსო სამინისტრო.

— 1-დგან 8 დეკემბრამდე პეტერბურგში დაუტუსაღებიათ 236 გლახა. მათ შორის არის 159 კაცი, 73 ქალი და 4 ყმაწვილიო.

უცხოეთი

ოსმალეთი. სტამბოლიდგანა სწერენ გაზ. „Politische Correspondenz“-ს, რომ ოსმალეთის სამინისტრო გაჭირვებულს მდგომარეობაშიაო. მაგალითებრ, ხმაა გავრცელებული სტამბოლში, რომ ქიამილ-ფაშას გარეშე საქმეთა მინისტრობიდგან გადააყენებენ და მის ადგილს მინისტრად ედჰემ-ფაშასა და ან უწინდელს დიდ ვეზირს საიდ-ფაშას დანიშნავენო. გადბან-ფაშის ორ პირობას დიდი ლაპარაკი აუტეხნია სასახლეში. დიდთა სახელმწიფოთა წარმომადგენელნი სტამბოლში უთქვამსთ სულთანისათვის, რომ ყურადღება მიაქციეთ გადბან-ფაშის უწესო მოქმედებასა და საქციელს, თორემ მაგ ამბავს შეიძლება ცუდი შედეგი მოჰყვესო. ამ საქმის გამო მინისტრებს რჩევა ჰქონიათ და გადაუწყვეტნიათ, რომ გადბან-ფაშა უკანვე დავიბაროთო; ამ უკან დაბარებას პირველში დროებითის დაბარების სახელი ერქმევაო. ყველა ამ ამბებიდგან აშკარადა სჩანს, რომ დიდის ვეზირისა და ქიამილ-ფაშას შორის დიდი მტრობაა და უთანხმოებაო.

— ალეპპოს გუბერნატორი ჯემილ-ფაშა სხვა თანამდებობაზედ გადაუყვანიათ. ჯემილ-ფაშის გადაყვანა ინგლისის მიზეზით მომხდარა. ჯერ პირველი ინგლისის ელჩი სტამბოლში სულ იმას ზრუნვაში იყო, რომ ჯემილ-ფაშა სამსახურიდგან უნდა დაითხოვოთ, რადგან ბევრს ავ-კაცობასა და უკანონობას სჩადისო. თუ ჯემილ-ფაშას სამსახურიდგან არ დაითხოვთ, ინგლისისა და ოსმალეთის შორის ყოველივე სადიპლომატიო კავშირი შეწყვეტილ იქმნებაო. მაშინ ოსმალეთმა ყურადღება არ მიაქცია ე. ტორნტონის მუქარას და ესევე იყო მიზეზი, რომ ტორნტონი იძულებულ იქმნა სტამბოლიდგან ისევ ინგლისში დაბრუნებულიყო. ტორნტონის მოადგილემ სერ უაიტმა სულთანს მოახსენა, რომ გამოიძიეთ ჯემილ-ფაშის საქმე, იქნება მართალიც იყოსო. გამოუძიებიათ ეს საქმე და აღმოჩენილა, რომ ჯემილ-ფაშა მართლაც უკანონოდ იქცევა და მოქმედებს თურმე. ამის გამო ჯემილ-ფაშა გადუყენებიათ სამსახურიდგან, ხოლო სულთანს უბრძანებია, რომ გეჯაში გაამწესეთ გუბერნატორადაო.

საფრანგეთი. საფრანგეთი დიდს სამხედრო მზადებაშია. პარიჟის გაზ. «Figaro» ამბობს, რომ საფრანგეთი ამ ჟამად რაც შეუძლიან ჯარის შეიარაღებასა და მოწყობაშია არისო. საფრანგეთის მმართებლობამ ამას წინად პოლკოვნიკი გრი ამერიკაში გაჰგზავნა მაღაზინის თოფების გასაკეთებელ იარაღის მოსატანად. ეხლა პოლკოვნიკი გრი დაბრუნებულა და მოუტანია შეკვეთილი იარაღი. 1 აპრილიდგან ამ იარაღებს დააწყობენ როგორც რიგაა რომელსამე იარაღის მკეთებელ ქარხანაში და ყოველ თვეში 30,000 მაღაზინის თოფი უნდა გაკეთდესო. ამ იარაღის შეძენა მთავრობას საფრანგეთისას ორ მილლიონ ფრანკამდე დასჯდომია. საფრანგეთის სამზღვრების ყველა ციხეები გაზაფხულამდის უნდა გაამაგრონ და ზარბაზნები და ყუმბარები შეიტანონ ყოველს ციხეშიო. გენერალ ბულანჟეს ეხლავე შეუკვეთია გაკეთება ყუმბარებისა და ზარბაზნის ტყვიებისაო.

ბოლგარია. გაზ. «Neues Wiener Tageblatt»-ის სიტყვით, გერმანიას ურჩევია დიდთა სახელმწიფოთათვის: სოფიაში გავგზავნოთ ნოტა და მოვითხოვოთ, რომ სარეგენტო მთავრობა ბოლგარიისა სამსახურიდგან გადადგეს და რომ სამეგრელოს თავადი ნიკოლოზი ამოირჩიონ მთავრადაო. ამავე ნოტაში დიდთა სახელმწიფოთ უნდა გამოაცხადონ, რომ თანახმანი ვართ ბოლგარიის ჯარში რუსეთის აფიცრები მსახურობდნენო.

— კარაველოვი ბუხარესტში მისულა.

— სისტოვოში არეულობათა გამო შიშანობის წესნი გამოუცხადებიათ.

გერმანია. ბერლინიდგან დეპეშით აუწყებენ გაზ. „Temps“-ს: უკანასკნელს სადილზედ, რომელიც იმპერატორსა ჰქონ-

---

*) ივლიტა სოფელია რაბათის დასავლეთით ერთის ვერსის სიშორეზე.

და პრაგის არხიეპისკოპოსის პატივ-საცემლად, მოლტკეს უთქვამს გენერლებისათვის. „დარწმუნებულნი იყავით, რომ ვიდრე იმპერატორი ცოცხალია, გერმანიას არავისთან არ მოუხდება ომიო".

* * *

ამერიკა. შეუტყვიათ თუ არა ფილადელფიაში, რომ ინგლისის მთავრობას გადაუწყვეტია, უფრო სასტიკად მოეპყრას მოწინააღმდეგე ირლანდიელებსაო, კრება ჰქონიათ და ხელ-მოწერით 4,000 მანათამდე შეუგროვებიათ. ეს ფული ირლანდიელ ფერმერებს უნდა გაუგზავნონო.

გასართობი

ნაპოლეონი III-ე და პრუსიელი ლოტბარი. ერთხელ პარიჟში პრუსიის ჯარის ორკესტრმა კონცერტი გამართა. ამ კონცერტზედ თვით ნაპოლეონი III დაესწრო. ნაპოლეონი მივიდა და ლოტბარს ლაპარაკი დაუწყო. ლაპარაკში ნაპოლეონმა ერთს ბუკის მსგავს საკრავს ხელი დაავლო და რომ ასწია, მეტად ემძიმა.

— თქვენს მემუსიკეებს ომში საკრავის გარდა ხომ გუდებიცა ჰკიდიათ ბარგის საზიდლად? ჰკითხა ლოტბარს.

— დიაღ, თქვენო დიდებულებავ! უპასუხა ლოტბარმა.

— ეგრე მძიმედ დატვირთულნი როგორღა გამორბიან, თუ სწრაფად საჭიროა გამოქცევა ომიდამ!

— რა მოგახსენოთ, ხელმწიფეო, მაგისთანა შემთხვევა ჩვენ ჯერ არა გვქონია.

⁂

მოლტკე და წაუგებელი სანაძლეო. როცა აწ სახელ-განთქმული ფელდ-მარშალი პრუსიისა მოლტკე ჯერ კიდევ პოლკოვნიკი იყო, ხშირად აფიცრებთან ერთად საერთო სუფრაზედ სჭამდა სადილს. ხოლო ერთი უცნაური ყოფა-ქცევა მისი აოცებდა ყველას. ყოველთვის რაკი სუფრაზედ დასჯდებოდა, ჯიბიდამ ამოიღებდა ხოლმე ათს ოქროს და წინ სუფრაზედ თავის თეფშთან დაიწყობდა და ყოველთვისვე, რაკი ადგებოდა სუფრიდამ, აიღებდა ამ ოქროებს და ისევ ჩაილაგებდა ჯიბეში და წავიდოდა. ამის მნახველნი ამხანაგნი ბევრს იტეხდნენ თავს გამოეცნოთ ეს უცნაური საქციელი და ბოლოს რომ ვერას გახდნენ-რა, თვითონ მოლტკესა ჰკითხეს.

— აი რა არისო, უთხრა მოლტკემ: იმ დღიდამ რაც მე თქვენთანა გმსახურობ, მე შევნიშნე რომ სუფრაზედ სალაპარაკო საგანი სხვა არა გაქვთ-რა, თუ არ ქალებზე, ქაღალდის თამაშობაზე და ცხენების ჭენებაზე და ვსთქვი: ათს ოქროს საჩუქრად მივართმევ იმას, ვინც პირველი უფრო ჭკვიანურს ლაპარაკს ჩამოაგდებს-მეთქი. დღეს აქამომდე არავინ არ გახდა ღირსი ამ საჩუქრისაო.

⁂

ჰაეროსტატი. მას შემდეგ რაც ჰაეროსტატები მოიგონეს, მთელი კაცობრიობა სულ იმის ცდაშია, რომ რაც შეიძლება განაკარგოს, გააუკეთესოს ჰაეროსტატების საქმე. სამზღვარ-გარედ ეხლაც დიდი ადგილი უჭირავს ჰაეროსტატებს სამხედრო საქმეში. მიუხედველად ამისა სამზღვარ-გარედ სამხედრო სასწავლებლებია დამართული და განზრახვა აქვსთ ისე განაკარგონ ჰაეროსტატის საქმე, რომ ადვილად შეეძლოთ ერთის ადრევე დანიშნულ ადგილიდგან მეორე ადგილზე გადასვლა ამ ჰაეროსტატით და ხელი არ შეუშალოს არც ქარმა, არც ნიავმა, ავდარმა, თოვლმა და სხ. 1870—71 წწ. მაგალითმა აშკარად დაანახვა ხალხს, თუ რა დიდი სამხედრო მნიშვნელობა აქვსთ ჰაეროსტატებს. 1870—71 წწ. ოთხი თვე გარს ერტყნენ პარიჟს პრუსიელები; ამ ოთხის თვის განმავლობაში 64 ჰაეროსტატი აუშვეს ფრანგებმა, იმ იმედით, რომ მტრის ბანაკს გასცდება და ისევ ფრანგებს ჩაუვარდებათ ხელშიო. ამ 64 ჰაეროსტატში 163 კაცი თუ დედა-კაცი იჯდა და ამ ხალხს 2.500,000 წერილი, წონით 540 ფუთამდე მიჰქონდათ თან. ჰაეროსტატში მყოფთა შორის იყოს გამბეტტა თავის სეკრეტრითურთ, ჰაეროსტატი ისე დაბლა მიფრინავდა თურმე, რომ გერმანიელებმა თავიანთ ბანაკიდგან თოფის სროლა დაუწყეს და გამბეტტა ხელში დასჭრეს. ამ 64 ჰაეროსტატში მხოლოდ 32-მა შეასრულა თავისი დანიშნულება, დანარჩენი ზოგი დაიღუპა და ზოგი გერმანიელებს ჩაუვარდათ ხელში. ამ დროს პარიჟს ახლოს ორი სახელოსნო და სასწავლებელი იყო გამართული, სადაც ჰაეროსტატების კეთებასა და ხმარებას ასწავლიდნენ. როცა საფრანგეთისა და გერმანიის შორის მშვიდობიანობა ჩამოვარდა, მთავრობამ საფრანგეთისამ 10,000 მანათი გადასდო ჰაეროსტატის საქმის უფრო რიგზე მოსაწყობად და განსაკარგებლად და ეს საქმე დიუპუი-დე-ლომს მიანდო. აქნობამდე რამდენიმე პროექტი შეუდგენიათ ჰაეროსტატის განკარგებისა, მაგრამ ეს განკარგება ისეთი არ არის, როგორიც სასურველია: წუთში 360 ადლს მანძილზე მეტს ვერ დადის ჰაერში. ამ პროექტებში ყველაზედ საუკეთესოდ ინგლისელის ტეიერის პროექტი ჩაითვლება. ეს ახლად მოგონილი ჰაეროსტატი 430 ფუთამდე სიმძიმეს ტვირთულობს და სხვა ჰაეროსტატებზე უფრო საუკეთესოდ არის მოწყობილიო.

დეპეშა

17 დეკემბერი

სოფია. სარეგენტო მთავრობის მოწინააღმდეგეთა შორის ხელ-ახლად დაიწყეს ლაპარაკი, რომ მთავრობას მოვურიგდეთო. გაზ. „დამოუკიდებელი ბოლგარია" კი წინააღმდეგია ამ მორიგებისაო.

ბელგრადი. ბოლგარიისა და სერბიის კომისიამ მოაწერა ხელი იმ განაჩენსა, რომლის ძალითაც ბრეგოვის მიწა-წყალი დაეკუთნა სერბიას. აქამდე ეს მიწა-წყალი სადავო იყო სერბიასა და ბოლგარიის შორის. განაჩენი გაეგზავნა სერბიისა და ბოლგარიის მთავრობას.

18 დეკემბერს.

პეტერბურგი. ვენაში სამხედრო აგენტად ნამყოფი გენერალი კაულბარსი დაინიშნა გვარდიის ჯარებისა და პეტერბურგის სამხედრო ოლქის მთავარ-სარდლის ხელ-ქვეითად.

ლონდონი. მინისტრთა საბჭომ დაადგინა, თებერვლამდე გადავდოთ პარლამენტის სესიის დაწყებაო.

ბოლგართა დეპუტაცია მიღებულ იქმნა გარეშე საქმეთა მინისტრის მიერ, ხოლო არა-ოფიციალურად-კი.

სტამბოლი. გადბან-ეფენდი უკანვე დაბარებულია.

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპვ (1886) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7394**.
ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უოჱ=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მბ=42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1886 წლის ზედ-ნადები—3.

დეკემბერი 31 დღით არის

19 დღე პარასკევი. წმ. მოწ. ბონიფატე, გრიგოლ არხიეპისკ. კათოლ. 19-სა და 20-ს დღის ღვთის მსახურება. სომეხ. მარხვაა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—3—18. ტფილისში მზე ამოდის 7—27, ჩადის 4—40; მთვარე ამოდის 11—8, ჩადის 10—21.

20 დღე შაბათი. მოწ. ეგნატისა ეპისკ. სომეხ. წმ. პირველ-მოწამ. სომეხთა მეფისა აბგარისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—8—47. ტფილისში მზე ამოდის 7—27, ჩადის 4—41; მთვარე ამოდის 11—35, ჩადის 11—22.

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1887 ГОДЪ
ЗА
иллюстрированный, художественный, литературный, семейный журналъ

БЕЗЪ ДОСТАВКИ
на 1887 годъ
5 РУБ.

„РАДУГА"
V-Й ГОДЪ ИЗДАНІЯ.

съ доставкой и пересылкой гг. иногороднымъ
на 1887 годъ
6 РУБ.

Чутко прислушиваясь къ требованіямъ русской интеллигентной публики, Редакція „РАДУГИ" постоянно и внимательно стараясь усовершенствовать свое изданіе, достигла, наконецъ, въ 1886 году такого успѣха, какимъ до сихъ поръ не могъ похвалиться ни одинъ издаваемый въ Россіи журналъ. Подписка на 1886 году была такъ сильна, что Редакція въ началѣ года не была въ состояніи сразу удовлетворить всѣхъ подписчиковъ, и вынуждена была выпустить четыре изданія, т. е. четыре раза допечатывать всѣ вышедшіе уже номера, чтобы имѣть возможность удовлетворить большой наплывъ вновь поступающихъ подписчиковъ и, несмотря на все это, уже въ серединѣ года, Редакція была поставлена въ необходимость заявить въ газетахъ, что она оставляетъ за собою право прекратить дальнѣйшій пріемъ подписки, на 1886 годъ, такъ какъ отъ всѣхъ четырехъ изданій, къ тому времени, осталось только нѣсколько десятковъ экземпляровъ. Такое усиленное требованіе на „РАДУГУ", слѣдовательно, доказываетъ, насколько соотвѣтствуетъ журналъ духу времени, насколько онъ удовлетворяетъ общей надобности и вкусу.

Русская періодическая печать почти единогласно признала успѣхъ „РАДУГИ",—успѣхъ, достигнутый громадными и постоянными жертвами со стороны Редакціи, идущей неуклонно впередъ по разъ намѣченному пути, и поставившей себѣ цѣлью,—дать возможность всякому, за низкую плату, пользоваться хорошимъ, всестороннимъ и притомъ изящнымъ журналомъ.

Въ настоящее время „Радуга" уже не нуждается въ рекламѣ, она проложила себѣ дорогу, и можетъ гордиться сознаніемь—что не только въ Россіи, но даже заграницей не существуетъ другаго журнала, который за такую малую цѣну далъ бы такую массу разнообразнаго матеріала, такъ много безплатныхъ литературныхъ и музыкальныхъ приложеній и сверхъ всего, такую прекрасную безплатную премію, какую даетъ своимъ подписчикамъ „Радуга".

ВЪ „РАДУГѢ" ПРИНИМАЮТЪ УЧАСТІЕ СЛѢДУЮЩІЕ, ХОРОШО ИЗВѢСТНЫЕ РУССКОЙ ЧИТАЮЩЕЙ ПУБЛИКѢ, ЛИТЕРАТУРНЫЯ ИМЕНА:

Н. П. Аксаковъ.
Вл. Александровъ.
В. П. Бефани.
П. П. Бобровъ.
Р. гарднеръ.
И. П. Деспотули.
Д. С. Дмитріевъ.
М. К. Іогель.
В. А. Крыловъ (Александровъ).
Н. С. Лѣсковъ.
А. Н. Майковъ.
Д. Д, Минаевъ.
И. М. Невѣжинъ.
Вл. Ив. Немировичъ-Данченко,
Л. И. Пальминъ.
Я. Паперъ.
Н. А. Потѣхинъ.
А. Плещеевъ.
Л. Ретюнская.
Князь Сумбатовъ (Южинъ).
В. Статкевичъ-Добрыва.
Ник. Угрюмовъ.
Фальковскій.
С. Н. Филипповъ.
П. В. Флотовъ.
Н. А. Чаевъ.
С. А. Юрьевъ.
М. Яронъ.
П. М. Өеодоровъ (редакторъ "Новаго Времени"). Н. и другіе.

Въ 1887 году будитъ продолжать участвовать лучшія литературныя силы, число которыхъ постоянно увеличивается.

Въ портфелѣ Редакціи находится масса, полныхъ живѣйшаго интереса, романовъ, повѣстей, разсказовъ, драматическихъ сочиненій и т. д., предназначенныхъ къ напечатанію къ ‹Радугѣ› 1887 года, между прочими слѣдующія:

„Татьяна Тулузина" большой романъ М. К. Іогеля. Продолженіе романа „Слѣпцы".
„Подъ шумъ большаго города". Эскизы столичной жизни С. Н. Филиппова.
„Мятежникъ" Фотограф. негативъ В. П. Бефани.
„Репьевы". Повѣсть И. Деспотули.
„Купріяновъ и Полушкинъ". Набросокъ карандашемъ В. П. Бефани.
„Исторія Смѣха". Юмористическій очеркъ Н. П. Аксакова.
„Тоска по Идеалу". Романъ И. П. Деспотули.
„Савва Ильичъ". Комедія фарсъ въ 4 дѣйствіяхъ—продолженіе пьесы „Разрушеніе Помпеи" Д. А. Мансфельда.
„Бѣдокурка". Комедія въ 4 дѣйствіяхъ П. М. Невѣжина и много другихъ.

Въ ‹Радугѣ› 1887 года, по примѣру прошлаго года, будутъ помѣщены нѣсколько премированныхъ ребусовъ.;

Укрѣпляя такимъ образомъ за „РАДУГОЙ" пріобрѣтенную ею репутацію самаго всесторонняго, самаго полнаго еженедѣльнаго иллюстрированнаго, семейнаго журнала Россіи, Редакція вмѣстѣ съ тѣмъ и въ 1887 году не ограничится тѣмъ составомъ, которымъ „Радуга" до сихъ поръ отличалась передъ другими подобными журналами, а

дастъ въ 1887 году, къ существующимъ уже еще одно новое безплатное приложеніе, а именно:

ЮМОРИСТИЧЕСКІЙ АЛЬБОМЪ РАДУГИ

здоровый, безобидный юморъ, анекдоты, юмористическіе разсказы, приключенія, шутки и т. д. со множествомъ иллюстрацій въ текстѣ къ разсказамъ и анекдотамъ.

ТАКИМЪ ОБРАЗОМЪ, КАЖДЫЙ ПОДПИСЧИКЪ РАДУГИ ПОЛУЧИТЪ ВЪ ТЕЧЕНІИ ГОДА:

50 №№ журнала „Радуга"
25 №№ журнала „Сцена и Аккордъ"
12 №№ журнала „Салонъ".
12 №№ журнала „Парижскія Моды".
6 №№ журнала „Дачная жизнь".
25 №№ нотъ (около 50 піесъ въ годъ).

И СВЕРХЪ ВСЕГО ЭТОГО СОВЕРШЕННО БЕЗПЛАТНО РОСКОШНУЮ ПРЕМІЮ,

ДЕНЬ И НОЧЬ.
(АЛЛЕГОРІЯ).

Великолѣпная олеографическая картина, художественно-исполненная въ лучшемъ артистическомъ заведеніи заграницей, Подписчики „РАДУГИ" хорошо знаютъ, какъ щедра Редакція на свои преміи. Она не жалѣетъ средствъ, чтобы доставить своимъ подписчикамъ лучшее, что только существуетъ въ этомъ родѣ. За преміи предъидущихъ годовъ Редакція получила множество признательныхъ отзывовъ и благодарственныхъ писемъ, а о преміи 1886 года „Юдиѳь" былъ общій отзывъ, что „такой преміи еще не было". Премія же 1887 года

„ДЕНЬ И НОЧЬ"

превосходитъ далеко даже премію 1886 года, и мы смѣло можемъ сказать, что и въ этомъ отношеніи мы внѣ конкурренціи: лучшей преміи даже трудно себѣ представить. Премія эта будетъ совершенно безплатная, и ни за пересылку по почтѣ, ни за упаковку Редакція никакой дополнительной платы не потребуетъ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА НА 1887 ГОДЪ:

Безъ доставки въ Москвѣ . . . . 5 руб.
Съ доставкой въ Москвѣ и пересылкой во всѣ города Россійской Имперіи, считая и упаковку, и пересылку и страховыя преміи . 6 „
Заграницу съ пересылкою . . . . 8 „
На ½ года съ доставкою и пересылкою во всѣ города Россійской Имперіи . . . . 4 руб.
На три мѣсяца . . . . 2 „

Подписка принимается во всѣхъ извѣстныхъ книжныхъ магазинахъ Россіи. Въ С.-Петербургѣ въ отдѣленіяхъ Конторы Редакціи „РАДУГИ" 1) при книжномъ магазинѣ ФЕНУ и К-,°, на невскомъ проспектѣ близь Пассажа; 2) при конторѣ Ф. Петрикъ, Невскій пр. № 8,

Гг. *иногородные подписчики адресуютъ прямо въ Редакцію журнала* „РАДУГА", Москва, *Столешниковъ переулокъ, домъ Карзинкина.*

Допускается разсрочка подписной платы: при подпискѣ 2 руб., 1-го марта 2 руб., 1 іюня 1 руб. и 1-го сентября 1 руб.

Гг. служащіе могутъ подписаться за ручательствомъ своихъ казначеевъ съ разсрочкой при подпискѣ 1 руб.—затѣмъ, остальныя деньги ежемѣсячно по 50 коп.

(5—3) Редакторъ **Д. А. Мансфельдъ.** Издатель **Л. Метцль.**

Дозв. ценз. Тиф. 18 декабря, 1886 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе" (Н. И. Френкель) Караван-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე